აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 2

31 ივლისი 2012 წელი ქ. ბათუმი

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: ქეთევან ჯიქია, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, მალხაზ კალანდაძე და თამარ ხოზრევანიძე.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. დადგენილება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

2. დადგენილება - კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახურის შექმნის შესახებ;

3. განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებების შეტანის შესახებ;

4. განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ;

1. დადგენილება
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიის რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებით დამტკიცებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ დადგენილების პროექტი და აღნიშნა, რომ რეგლამენტში შესატანი ცვლილებებით ზუსტდება უსკოს აპარატის ზოგიერთი სამსახურის უფლებამოსილება და ფუნქციები, უსკოს თავმჯდომარის მოადგილის უფლებამოსილებები, უსკოს სხდომაზე წესრიგის დარღვევისა და კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში დამრღვევის გაძევების საკითხი. ასევე სხდომის თავმჯდომარემ მუხლობრივად განიხილა ყველა ის ცვლილება და დამატება, რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი).

მიღებულია დადგენილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და 76-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2006 წლის 19 მაისის №4 დადგენილებით (გაზეთი ,,აჭარა“ 23. 05. 2006 წ. №91) დამტკიცებულ რეგლამენტში შეტანილი იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატებები:

1. პირველი მუხლის მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინარსიის 7^1 პუნქტი:
,,7^1. საარჩევნო პერიოდში უსკოს მუშაობის პერიოდულობა და სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვრება უსკოს თავმჯდომარის ბრძანებით.“

2. პირველი მუხლის მე-8 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:
,,ე) არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.“

3. მე-3 მუხლის „დ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,დ) უსკოს კანონით და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული საკითხების გარდა, უსკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, ადმინისტრაციული და საფინანსო ფუნქციების შესრულებას განსაზღვრული ვადით ავალებს უსკოს შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელს.“

4. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 4. უსკოს თავმჯდომარის მოადგილე.
უსკოს თავმჯდომარის მოადგილე:
ა) ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას, თუ უსკოს არ ჰყავს თავმჯდომარე ან მას არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება;
ბ) უსკოს თავმჯდომარის განკარგულებით და თანხმობით ახორციელებს უსკოს თავმჯდომარის ცალკეულ უფლებამოსილებებს (განკარგულებით ზუსტად უნდა განისაზღვროს მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები და ვადა);
გ) ახორციელებს კანონით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.“

5. მე-10 მუხლის „ბ“ პუნქტი ამოღებული იქნეს.

6. მე-12 მუხლის „დ“ პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $დ^1$ პუნქტი:
„$დ^1$) იღებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს და მათ ხელთ არსებულ სხვა დოკუმენტაციას ქვემდგომი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნის ან კომისიის მიერ უფლებამოსილი პირისაგან და გადასცემს უსკოს შესაბამის სამსახურს რეგისტრაციისა და შენახვისათვის.“

7. მე-13 მუხლის „დ“ პუნქტი ამოღებული იქნეს.

8. მე-16 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომა მოიწვევა უსკოს თავმჯდომარის მიერ ან მისი მოადგილის მოთხოვნით.“

9. მე-16 მუხლს მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^1 პუნქტი:

„4[1]. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება უსკოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა“.

10. მე-16 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„10. უსკოს სხდომაზე წესრიგის დარღვევისა და კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში დამრღვევის გაძევების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს უსკო, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში.“

მუხლი 2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. დადგენილება
კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სასმსახურის შექმნის შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კომისიის წევრებს წარუდგინა კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახურის შექმნის შესახებ დადგენილების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნების პერიოდში იქმნება კომპიუტერული უზრუნველყოფი დროებითი სამსახური, მან აღნიშნა, რომ კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის შექმნა განპირობებულია იმ თვალსაზრისით, რომ აღნიშნულმა სამსახურმა არჩევნების პერიოდში უზრუნველყოს კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებელ მუშაობა, მოახდინოს უსკოს ვებ-გვერდის სისტემატიური განახლება, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება და საჭირო შემთხვევაში მათ მოდიფიცირებაც, სხდომის თავმჯდომარემ მუხლობრივად განიხილა ყველა ის საკითხი რაც წარმოდგენილი იყო დადგენილების პროექტში პროექტში.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დადგენილების პროექტის დამტკიცების შესახებ

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი)

მიღებულია დადგენილება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. შეიქმნას კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახური.

მუხლი 2. კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები განისაზღვროს შემდეგი სახით:
კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური:
ა) უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებელ მუშაობას;
ბ) უზრუნველყოფს უსკოს ვებ-გვერდის მუშაობის გამართულობას არჩევნების პერიოდში;
გ) ქმნის და ახორციელებს შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას და ავრცელებს უსკოს აპარატში;
დ) ასრულებს კომპიუტერული ტექნიკის მიმდინარე სარემონტო-პროფილაქტიკურ სამუშაოებს;
ე) სხვა სამსახურებთან ერთად უზრუნველყოფს კომისიისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებას და კომპიუტერულ დამუშავებას;
ვ) ქმნის კომისიისათვის საჭირო სხვადასხვა მონაცემთა ბაზებს, ახდენს არსებულ მონაცემთა ბაზების, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებას და საჭიროების შემთხვევაში მათ მოდიფიცირებას;
ზ) უზრუნველყოფს კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოებას;
თ) ახორციელებს კომპიუტერული სისტემის კოორდინაციასა და ფუნქციონალურ უზრუნველყოფას;
ი) ახორციელებს პროგრამულ უზრუნველყოფას და შესაბამისი წინადადების მომზადებას პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესების თაობაზე;
კ) უზრუნველყოფს კომისიისათვის საჭირო მასალების სისტემატიზირებასა და შენახვას;
ლ) ამზადებს პასუხებს კომისიაში შემოსულ, მის კომპეტენციაში შემავალ წერილებსა და განცხადებებზე და წარუდგენს უსკოს თავმჯდომარეს;
მ) კონსულტაციას უწევს კომისიის წევრებს, აპარატის თანამშრომლებსა და ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს კომპიუტერული ტექნიკისა და თანამედროვე პროგრამული საშუალებების ეფექტურად გამოყენების მიზნით;

ნ) უზრუნველყოფს ამომრჩეველთა პირადი ნომრებისა და სხვა საიდუმლო ინფორმაციის დაცვას;
ო) ახორციელებს საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების და ნიმუშების კომპიუტერულ დამუშავებას;
პ) კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური თავის უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს საარჩევნო კოდექსით, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომირი რესპუბლიკის კანონით, უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით, სამუშაო აღწერილობითა (ინსტრუქციით) და შინაგანაწესით, საქართველოს სხვა კანონებითა და სამართლებრივი აქტებით;
ჟ) უზრუნველყოფს უსკოს ვებ-გვერდის სისტემატიურ განახლებას;
რ) ასრულებს სხვა მოვალეობებს.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის სასაქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. #30) მისი გამოქვეყნებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლები ამოქმედდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მათი მოქმედება ვადა განისაზღვროს სამი თვის ვადით.

მუხლი 5. ეს დადგენილება ამოქმედდეს მისი გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხარჯთაღრიცხვას უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უსკო, ასევე აღნიშნა, რომ უსკოს 2012 წლის ხარჯთაღრიცხვაში გაწერილია და განაწილებულია საარჩევნო ადმინისტრაციის და უმაღლეს საბჭოს 2012 წლის არჩევნებისათვის საჭირო ყველა ხარჯები რის შემდეგაც სიტყვა გადასცა უსკოს ეკონომიკური

სამსხურის უფროს ლევან სამნიძეს კომისიისათვის დეტალურად გაეცნო უსკოს 2012 წლის ხარჯთაღრიცვის პროექტი.

ეკონომიკური სამსახურის უფროსმა ლევან სამნიძემ კომისიას დეტალურად გააცნო უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის ხასრჯთაღრიცხა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. დამტკიცდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის ხარჯთაღრიცხვა დანართის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის 23 მაისის №1 განკარგულება - უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2012 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

4. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძე კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის საშტატო განრიგში

ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ საშტატო განრიგში ცვლილებით არ მცირდება და ასევე არც ემატება საშტატო ერთეულის რაოდენობა, ცვლილება შედის საშტატო განრიგის დანართში რის თანახმადაც ეკონომიკური სამსახურიდან სპეციალისტის შტატი გადადის იურიდიულ სამსახურში იმ თვალსაზრისით, რომ საარჩევნო პერიოდში იურიდიულ სამსახურს უწევს კომისიის სხდომებზე გასატანი და ასევე სხვა აქტების პროექტების მომზადება, განცხადებებზე შესაბამის პასუხების მომზადება რისთვისაც ხსენებულ სამსახურს საარჩევნო პერიოდში ააქვს შრომატევადი საქმე და საჭიროებს თანამშრომელის დამატებას.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 6;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 01 აგვისტოს №4 განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული №2 დანართის მე-3 და მე-4 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №2

უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატი

№	თანამდებობათა დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	ხელფასი
3	**იურიდიული სამსახური**	2	
	უფროსი	1	1274
	სპეციალისტი	1	680
4	**ეკონომიკური სამსახური**	2	
	უფროსი	1	1274
	ბუღალტერი	1	1274

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია